სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

12 მარტი 2026

N 149/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „FlexSecure”-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ

2026 წლის 09 და 10 მარტს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მომართა შპს „სი ენ ჯი 2015“-მა და შპს „FlexSecure“-მ, ითხოვეს შპს „სი ენ ჯი 2015“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 62კგ CO ეკვივალენტის 1,1,1,2,3,3,3 ჰეპტაფთორპროპანი (HFC-227ea) – 75 კგ-ის ოდენობით იმპორტის ნებართვის შპს „FlexSecure“-ზე გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „სი ენ ჯი 2015“-ის და შპს „FlexSecure“-ის 2026 წლის 09 მარტის N3356 და 10 მარტის N3492 ერთობლივი განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „FlexSecure“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 406073485) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

1,1,1,2,3,3,3 ჰეპტაფთორპროპანი (HFC-227ea) – 75კგ.

2. ნებართვა ძალაშია მისი გამოცემიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. შპს „FlexSecure“-მ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „FlexSecure“-ს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „FlexSecure“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/149-21-4-202603121436